ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ 2011 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲖᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲠᲒᲐᲕᲘ

ᲔᲚᲐᲓᲐ

№1 (189)

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2011 ᲬᲔᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2002 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

Ελλάδα

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ!

ძვირფასო თანამემამულენო!
გულითადად გილოცავთ ახალი, 2011 წლის შემობრძანებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ყველა კეთილი სურვილის ასრულებას!
დაე, მრავალ ბედნიერ ახალ წელს შეხვედროდით აქაც და სამშობლოშიც. დაე, დამდეგი წელი ჩვენი სამშობლოს გაძლიერების, მისი გამთლიანების მაუწყებელი ყოფილიყოს!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ
საქართველოს ელჩი საბერძნეთსა და ხორვატიაში

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ“ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲢᲝᲛᲘ 15

პროექტი – „საბერძნეთის ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“

პროექტის ავტორი – საბერძნეთის ქართველთა სათვისტომო „ოქროს საწმისი“ (თავმჯდომარე ᲐᲜᲐ ᲧᲣᲠᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ)

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ:
საქართველოს ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკასა და ხორვატიაში ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ, ათენის კულტურისა და განათლების ცენტრის „კავკასიის“ ხელმძღვანელი ᲐᲛᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ, საქართველოს მწერალ შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ᲛᲐᲧᲛᲐᲚᲐ ᲑᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში ᲐᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲨᲘ



ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ–ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ

ᲗᲔᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲔᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

8–10

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲔᲚᲐᲓᲐ“ ᲘᲑᲭᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ

ქართული პროდუქტის საერთაშორისო

მესამე გვერდიდან

„ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ და ფესტივალ „ჩვენებურების“ ეგიდით, საელჩოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, ქალაქ ათენის ერთ-ერთ თეატრში - „კნოსოს“, გაიმართა ანსამბლ „ეგარის“ კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ ათენში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, ბერძენი მაყურებელი და ქართველი თანამემამულეები.

კონცერტის შემდეგ საელჩომ სტუმრებისათვის გამართა საზეიმო მიღება, რომლის დროსაც გაიმართა ქართული კერძებისა და ღვინის დეგუსტაცია. მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ რესტორნის - „წისქვილი“ მიერ მომზადებული კერძები.

მიღებაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირაკლი თავართქილაძემ ქალაქ თბილისის მერიის საპატიო ჯილდო „ქართული კულტურის მეგობარი“ გადაცა საბერძნეთის იორდანელთა სათვისტომოს თავმჯდომარეს იუმეიან ნაბილს, აგრეთვე ბატონ დიმიტრის თეოფილუს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოსთვის გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

ქართველ ქალბატონს, შორენა შენგელიას კი გადაეცა თბილისის მერიის სიგელი „ქართული კულტურის დესპანი“.

აღნიშნულ გამოფენა-ფესტივალს წინ უსწრებდა მე-11 საერთაშორისო საშობაო ბაზრობა, რომელიც გაიმართა 27-28 ნოემბერს ათენის საგამოფენო ცენტრში HELEXPO.

საბერძნეთში აკრედიტებულ სხვა საელჩოებთან ერთად, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საელჩომაც.

აღნიშნული ბაზრობა ყოველწლიურად იმართება და შემოსავალი ხმარდება ინვალიდი ბავშვების საბავშვო ბაღს. საშობაო ბაზრობის ორგანიზატორია საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბავშვის მეგობრები“ (OI FILOI TOU PAIDIOU).

ფილკლორული ანსამბლი „ეგარი“

გამოფენა-ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო ქართული სუვენირები და გამოყენებითი ხელოვ-

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ-ᲤᲔᲡᲢ

ნების ნიმუშები - თიხის ნაკეთობები, ყანწები, თექა, გობელენი, ნაქარგობები. აგრეთვე, ქართული ღვინო, მინერალური („ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“) და გამაგრილებელი („ნატახტრის“ ლიმონათი) სასმელები.

გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაესინჯათ ქართული ტრადიციული კერძები.

ფესტივალის ფარგლებში, ათენის ქართული დიასპორის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „პატარა ემიგრანტები“ (ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ოთარ ლეკერაშვილი) წარმოადგინა რამდენიმე ქართული ცეკვა.